თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების საფუძველზე

ჭიათურა 2011 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ---------- 3 გვ

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ---------- 7 გვ

3. ტექნიკური დოკუმენტაცია ---------- 8 გვ

4. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ ---------- 10 გვ

5. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ--- 10 გვ

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 11 გვ

7. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა ---------- 15 გვ

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯმდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად.

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.

1.2 ტენდერის გამოცხადებისთანავე დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. გაცნობის ვადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ დღეს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი დღის განმავლობაში პრედენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს სატენდერო წინადადება. ხოლო ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადაა არანაკლებ თხუთმეტი დღე, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში კი პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მეშვეობით წარადგინოს თავისი სატენდერო წინადადება.

1.3 იმისათვის რომ პრედენდენტმა წარმოადგინოს სატენდერო წინადადება აუცილებელია:

ა) სისტემაში დარეგისტრირდეს მიმწოდებლის სტატუსით.

ბ) გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოს მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებს სისტემის მეშვეობით).

გ) წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

დ) გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი (მიმღები) არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას 1%-ს, რომლის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 30 კალენდარული დღით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში და არანაკლებ 60 კალენდარული დღით ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, წინადადების მიღების დაწყების დღიდან.

1.5 ტენდერის ჩატარებისას ,,ხელშეკრულება დადებულია", ,,დასრულებულია უარყოფითი შედეგით" და ,,ტენდერი შეწყვეტილია" ეტაპების შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრედენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:

ა) პრედენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე.

ბ) პრედენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად.

გ) პრედენდენტი დისკვალიფიცირებულია თავის სატენდერო წინადადებაზე უარის თქმის გამო, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას, თუ ის არა წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით, თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.6 ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასური შეცდომით გადახდილია კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის.

შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შეცდომით გადახდილი ზედმეტი თანის უკან დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და შესაბამის დოკუმენტაციას. ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააგენტო ამ მოთხოვნას ათი სამუშაო დღის ვადაში უგზავნის თნხის დაბრუნებაზე შესაბამის უფლებამოსილ პირს. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს შეცდომით

ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ვადის გასვლის შემთხვევაში თანხა არ ბრუნდება. აღნიშნული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

1.7 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდა ხორციელდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე, სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით, რომლის დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის

გამოყენების გარეშე, რომლის დროსაც ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტის ასლი მიღებისთანავე წერილობით გააგზავნოს სააგენტოში. ასლის გაგზავნა ასევე უნდა მოხდეს სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე info@procurement.gov.ge.

1.8 სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება, რომლის წარდგენა ხდება „წინადადების მიღება დაწყებულია" ეტაპზე.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენატაცია უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ აღწერას.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრედენდენტს აქვს შესაძლებლობა მიუთითოს თავისი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ფასი არ უნადა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები.

1.12 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა.

1.13 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრედენდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში.

1.14 ელექტრონული ვაჭრობა იყოფა ძირითად დროდ და 3 დამატებით რაუნდად. ძირითად დროში პრედენდენტს უფლება აქვს ცვალოს ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.15 ბიჯი არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული თანხა, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0,4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრედენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარმოადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით. პირველ რაუნდში შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში რაუნდში პირველ შეთავაზებას აკათებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

1.17 დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით, რომლის შემდეგაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად უპირატესობას ანიჭებს იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი. პრეტენდენტის მიერ იგივე ფასის სისტემის შესაბამის ველში ხელმეორედ მითითება განიხილება ფასის ხელახლა წარდგენად.

1.19 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება მისი **დისკვალიფიკაცია.** სატენდერო კომისია არ ახდენს პრედენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა დაზუსტებაც არ გამოიწვევს მის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ასეთი უზუსტობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრედენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრედენდენტის დისკვალიფიკაციას. იმ შემთხვევაში თუ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით, რომელიც არ იკითხება, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.

1.21. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების

დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით. რისთვისაც განუსაზღვრავ გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.22. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამდე შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში მიმართავს პრეტენდენტს ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის მოთხოვნით. პრეტენდენტის მიერ ნიმუშის წარმოუდგენლობა ან წარმოდგენილის შეუსაბამობა სატენდერო განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ანდა სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.23 პრეტენდენტი დისკვალიფიკაციას ექვემდებარება ასევე: თუ იგი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან სატენდერო დოკუმენტაციას, თუ ის დადგენილ ვადაში არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას. თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუ ის უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას, თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24 საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებული იქნას პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, სახელმწიფოს წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებები და სხვა)

1.25 პრედენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშეც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

1.26 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში **„ტენდერი გამოცხადებულია“** ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში ამ ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა. ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში **„წინადადებების მიღება დაწყებულია“** ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში ამ ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

1.27 პრედენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრედენდენტის დისკვალიფიკაცია, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს

მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

1.28 ტენდერის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ გამარჯვებულ პრედენდენტთან, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა შემსყიდველი ორგანიზაცია დებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე

1.29 ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს. სხვა შემთხვევაში იგი შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის შეხედულებისამებრ. გარანტიის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-მდე ოდენობით.

ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.30 **სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

1.31 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.32 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოდან ნასამართლეობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი - XXXIX სამოხელეო დანაშაული
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი

2.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან
ბ) ცნობა, სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ
გ) ცნობა, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ
დ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ჭიათურის მუნიციპალიტეტში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

- ხეების მოჭრა
- სკვერების მოწყობა
- გარე განათების ქსელის გაფართოება
- ქუჩების დახაზვა, ბორდიურების შეთეთრება
- საგზაო ნიშნების დამზადება-დაყენება
- სანიაღვრე არხების აღდგენა
- შადრევნის მოწყობა
- საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა
- საცხოვრებელი სახლების სახურავების შეძენა
- ფასადების შეკეთება
- საყრდენი კედლების აღდგენა

შენიშვნა:

1. **პრეტენდენტმა უნდა მოახდინოს გასაწევი მომსახურების სათანადო გაანგარიშება და წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა.**

   საპროექტო მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2011 წლის 01 ოქტომბრამდე

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს და ინფორმაციას:

- **ხარჯთაღრიცხვა**
- **მომსახურების გაწევის გრაფიკი**
- **რეკვიზიტები** (დასახელება, მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარმოდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
4. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის (იხ. დანართი№1) პირობებზე დათანხმებით.
5. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის , ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით).
6. წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
7. სატენდერო წინადადება, ასევე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

სატენდერო აპარატის იმ წევრების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებისაგან:

საკონტაქტო ტელეფონი: გოჩა ცუცქირიძე 8 (479) 25 10 81, მობ: +995 99 69 47 69
ლალი კაპანაძე +995 99 33 22 42

მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ №7, მესამე სართული, მე-4 ოთახი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის შენობა

ხელშეკრულება №
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

---------- **ჭიათურა**

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, (მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იასონ ჭუმბურიძის სახელით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ---------- შემდგომში “მიმწოდებელი”.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მომსახურების გაწევის, საქონლის მიწოდების, სამუშაოს ან შესრულების ვადები, ხარჯთაღრიცხვა.

გ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ელექტრონული ტენდერის საშუალებით მომსახურების, საქონლის ან სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა. კლასიფიკატორის კატეგორიის კოდი ----------

4. სამუშაოს შესრულების პირობები

მიმწოდებელია ვალდებულია:

შემსყიდველი ვალდებულია:

4.7. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ანგარიშსწორება

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----------

5.2. მხარეთა შორის მოხდება უნაღდო ანგარიშსწორება

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

5.4. მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

5.5. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს მიღებიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღე.

5.6. მხარეთა შორის შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

6.2. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან დამატებითი ღირებულებების გადახდის ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6.3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს ---- რაზეც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ----------ლარის ოდენობით.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების

3%-ს დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების გადახდაზე,

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ----------

15. დამატებითი პირობა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს,

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:
_____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში ,,მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

_____ _____
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი: _____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით,

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____

_____

(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ.
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
4. ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი ,,კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერი პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით :

ა) სატენდერო წინადადების ფასი;

ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

ე) შესყიდვის ობიექთის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღვნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

_____

(პრეტენდენტის უფლებამოსილიწარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარიბაზე. აფიდავიტით განსაზღრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.